ინტერესთა გამოხატვა

კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ქ. თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე

1. ინტერესთა გამოხატვის საგანი და მიზანი

1.1. სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (**შემდგომში - „სააგენტო“**) აცხადებს ინტერესთა გამოხატვას (**შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“**) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების (**შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“**) დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ამ ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობ(ებ)ისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტის განხორციელების თაობაზე (**შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“**).

1.2. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში პროექტი განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, **ქ. თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 - ფართობი: 6605 კვ. მ. - (შემდგომში - „უძრავი ქონება“).**

1.3. უძრავი ქონების გარკვეული ნაწილი შესაძლებელია დაკავებული იყოს თვითნებურად.

1.4. უძრავი ქონების ნაწილს ჰკვეთს სანიაღვრე ქსელი. მასზე, შესაძლოა, ასევე, მდებარეობდეს სხვა რეგისტრირებული/არარეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობები. გამარჯვებული პირი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ტერიტორიაზე განთავსებული ხაზობრივი ნაგებობების სხვა შესაბამის ტერიტორიაზე გადატანის მიზნით შესაბამისი ორგანოებისგან/უწყებებისგან საჭირო თანხმობების/ნებართვების მოპოვება და მათი გადატანა საკუთარი ხარჯით, ამავე ორგანოებთან/უწყებებთან შეთანხმებული პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.5. უძრავი ქონების სამშენებლოდ განვითარდება შესაძლებელია განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავების გარეშე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 8-ე მუხლის 5^1 პუნქტის გათვალისწინებით, *საჭიროების შემთხვევაში*, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენისა და უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.6. უძრავ ქონებაზე სრულად გავრცელდება საცხოვრებელი ზონა 6. ინტერესთა გამოხატვა ცხადდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ისათვის დადგენილი პარამეტრების გათვალისწინებით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტად (**კ-2**) განისაზღვრება არაუმეტეს **4.0.**

1.7. უძრავ ქონებაზე ვრცელდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (შემდგომში - „**საელჩო**“) რეკომენდაციით განსაზღვრული შეზღუდვის ბუფერი, კერძოდ, მიწის ნაკვეთი მდებარეობს საელჩოს საკადასტრო საზღვრიდან (ს.კ:01.10.05.041.002) 200-დან 500 მეტრამდე არეალში. შესაბამისად:

1.7.1. სამშენებლო პროექტის ფარგლებში მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა საელჩოსგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვება და მის მიერ გაცემული რეკომენდაციების/პირობების დაცვა.

1.7.2. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვების ეტაპზე, ამ ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის განსაზღვრული ბოლო ვადის ამოწურვამდე გონივრული ვადით ადრე, წერილობით მიმართოს საელჩოს *(ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და საელჩოს მიერ დადგენილი ვადების, ფორმისა და წესის დაცვით)* ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული ქალაქგეგმარებითი პირობების შესაბამისი სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის წერილობითი თანხმობის მოპოვების მიზნით.

1.7.3. გამარჯვებული პირის მიერ 1.7.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საელჩოსთვის მიმართვის ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და საელჩოს მიერ ამავე პუნქტით განსაზღვრული თანხმობის გაუცემლობა წარმოადგენს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის / შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, რა შემთხვევაშიც, გამარჯვებულ პირს არ აუნაზღაურდება ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში ან/და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, გამარჯვებულ პირს არ წარმოეშობა სააგენტოს მიმართ რაიმე სახის მოთხოვნის/პრეტენზიის წარდგენის უფლება, მათ შორის, რაიმე სახის ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

1.7.4. გამარჯვებული პირის მიერ 1.7.2. პუნქტის შესაბამისად საელჩოსთვის წარდგენილ მიმართვაზე საელჩოს მიერ თანხმობის გაუცემლობის შემთხვევაში, ინტერესთა გამოხატვის/ შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტისას, გამარჯვებულ პირს უბრუნდება ამ პირობების 3.2. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი საბანკო გარანტია.

2. გამარჯვებულის გამოცხადების კრიტერიუმი და წესი

2.1. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) **მინიმალური ოდენობაა 2650 კვ. მ (შემდგომში - „გადასაცემი სამშენებლო ფართი“). ამასთან, აღნიშნულ ფართზე შეთავაზების მინიმალური ბიჯი შეადგენს 50 კვ.მ-ს და განისაზღვრება 50-ის ჯერადი რიცხვით.**

2.2. სააგენტო ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს გამოავლენს შემდეგი წესით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში სააგენტოში წარდგენილია ორი ან მეტი განაცხადი, სააგენტო გამარჯვებულად ცნობს იმ მონაწილეს, რომლის მიერაც შეთავაზებულია ყველაზე დიდი ოდენობის გადასაცემი სამშენებლო ფართი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში ორი ან მეტი განაცხადით შეთავაზებულია ერთი და იმავე ოდენობის გადასაცემი სამშენებლო ფართი, სააგენტო ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს განუსაზღვრავს დამატებით ვადას გამარჯვების კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული შეთავაზების წარმოდგენის მიზნით ან სხვა დამატებით კრიტერიუმს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში სააგენტოსთვის წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, სააგენტო უფლებამოსილია ამ განაცხადის წარმომდგენი პირი ცნოს გამარჯვებულად, იმ პირობით, თუ განაცხადი აკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვით დადგენილ მოთხოვნებს.

2.3. ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირები, რომლებსაც სააგენტოში წარდგენილი აქვთ შესაბამისი განაცხადი, უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ წარდგენილი განაცხადების გახსნის

პროცესს. განაცხადების გახსნის/განხილვის შესახებ პროცესის მონაწილე მხარეების ხელმოწერით დგება ოქმი.

3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის პირობები და წესი

3.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს ან იურიდიულ პირთა კონსორციუმს;

3.2. დაინტერესებულმა პირმა ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრულ ვადაში სააგენტოს უნდა წარუდგინოს განაცხადი ინტერესთა გამოხატვის პირობებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციის შესახებ განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული და ნათარგმნი ქართულ ენაზე;

ბ)წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;

გ) ინფორმაცია ინტერესთა გამოხატვაში მონაწილის ან მასთან აფილირებული/დაკავშირებული პირის მიერ სამშენებლო სფეროში გამოცდილების, კერძოდ, ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო პროექტების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) შეთავაზება ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში გადასაცემი სამშენებლო ფართის ოდენობის შესახებ, მაგრამ არანაკლებ ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული მინიმალური ოდენობისა (გადასაცემი სამშენებლო ფართის შესახებ შეთავაზება სააგენტოს უნდა წარედგინოს დალუქული კონვერტით);

ე) სააგენტოს სასარგებლოდ გაცემული **2 500 000** (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის ან მისი ექვივალენტის ოდენობა დოლარში/ევროში (გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად) უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი წინადადების (შეთავაზების), ინტერესთა გამოხატვის 1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების *(მათ შორის: უძრავ ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების (საჭიროების შემთხვევაში), შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და აღნიშნული ვალდებულებების შესრულებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ვალდებულებების, ასევე, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის)* განსაზღვრულ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)" წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 %-ს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მისი წარმოდგენის ეტაპზე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით (ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია, გააგრძელოს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და ვადების

შესაბამისად); ამ პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას არსებითად ინტერესთა გამოხატვის დანართის შესაბამისი ფორმით;

3.3. განაცხადი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, დარჩება განუხილველი, რის შესახებაც სააგენტო შესაბამის პირ(ებ)ს გაუგზავნის შეტყობინებას;

3.4. <u>დაინტერესებული პირის მიერ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობების 3.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთავაზება წარმოდგენილ უნდა იქნას დალუქული კონვერტით. წარმოდგენილ განაცხადზე/დალუქულ კონვერტზე მითითებული უნდა იყოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ინტერესთა გამოხატვისა და დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) დასახელება</u>. ამასთან, 3.2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთავაზების გარდა, ამავე მუხლით გათვალისწინებული ყველა სხვა დოკუმენტი, მათ შორის, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია, თანდართული უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე, დალუქული კონვერტის გარეშე;

3.5. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს;

3.6. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ ამ პირობების 3.2. პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარდგენილია არასრულად ან/და შეიცავს ხარვეზ(ებ)ს, სააგენტო უფლებამოსილია, დაინტერესებულ პირს წერილობით განუსაზღვროს დამატებით გონივრული ვადა შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად, გარდა საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევისა. <u>ამ პირობების 3.2. პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენისთვის, დაინტერესებულ პირს დამატებითი ვადა არ განესაზღვრება და დაუყოვნებლივ მიეცემა ინტერესთა გამოხატვიდან დისკვალიფიკაცია.</u>

3.7. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, წინამდებარე პირობების ვადის გასვლის შემდეგ დაინტერესებული პირის მიერ დაუშვებელია თავდაპირველად წარმოდგენილ განაცხადში ამ პირობების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული შეთავაზებული ოდენობის ცვლილება, გარდა 2.2. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. პროექტის განხორციელების პირობები

4.1. ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას (სააგენტოს), ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირსა **(შემდგომში - „კომპანია“)** და კოოპერატივის წევრებს / სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირებს შორის დაიდება ხელშეკრულება უძრავი ქონების შესაბამისი პირებისთვის საკუთრებაში გადაცემისა და სამშენებლო პროექტის განხორციელების თაობაზე, რომლითაც დეტალურად განისაზღვრება პროექტის განხორციელების პირობები, ვადები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ამავე ხელშეკრულებით, უძრავი ქონება სააგენტოს მიერ განსაზღვრული ოდენობით თანასაკუთრებაში გადაეცემათ კოოპერატივის წევრებს/სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირებს და კომპანიას **(შემდგომში - „ხელშეკრულება“).**

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და წესით, სააგენტო / კოოპერატივის წევრები / სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირები კომპანიას საკუთრებაში გადასცემენ უძრავ ქონებას იმ პირობით, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადების დაცვით, ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული, აშენებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობიდან, კომპანია მათ საკუთრებაში გადასცემს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ოდენობის საცხოვრებელ ფართებს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით.

4.3. ხელშეკრულების დადება საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს წინასწარ თანხმობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ან/და საკრებულოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების ან/და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

4.4. პროექტი სრულად ხორციელდება ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის სახსრებით.

4.5. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეებს/დაინტერესებულ პირებს არცერთ შემთხვევაში არ აუნაზღაურდებათ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში ან/და მასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და არ წარმოეშობათ სააგენტოს მიმართ რაიმე სახის მოთხოვნის/პრეტენზიის წარდგენის უფლება, მათ შორის, რაიმე სახის ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

4.6. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობები გამოცხადებულია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. გარდამავალი დებულებები

5.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობით დაინტერესებულ პირთა მიერ განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა **2024 წლის 8 მაისი 18:00 საათი (ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თარიღია 2024 წლის 16 აპრილი).**

5.2. განაცხადების მიღება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მომსახურების სივრცეში (მის: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. N7).

5.3. საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსის მრჩეველი - გრიგოლ (გიგა) ადეიშვილი, ტელ: +995 555 646 777.

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # [●]

ქ. თბილისი **----- ---------- 2024 წელი**

გარანტი: “---------- ” (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
გარანტის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ----------
პრინციპალი: კომპანია--------- (შემდგომში „პრინციპალი“)
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
პრინციპალის მისამართი: ქ. თბილისი, ----------
ბენეფიციარი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“) - ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 205296375
საგარანტიო თანხა: 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი ან მისი ექვივალენტის ოდენობა დოლარში/ევროში (გარანტიის გაცემის დღისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა მონაწილეობა მიიღო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ქ. თბილისში, ეთერ ბოცვაძის ქუჩა N8-ში მდებარე, N01.13.01.007.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6605 კვ. მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (www.Tbilisi.gov.ge) **2024 წლის 16 აპრილიდან 2024 წლის 8 მაისის ჩათვლით** გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში და კისრულობს ვალდებულებას, წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ინტერესთა გამოხატვაში წარმოდგენილი წინადადების (შეთავაზების), ინტერესთა გამოხატვის 1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების *(მათ შორის: უძრავ ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების (საჭიროების შემთხვევაში), შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა მომავალი საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და აღნიშნული ვალდებულებების შესრულებამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ვალდებულებების, ასევე, ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის)* განსაზღვრულ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში **2 500 000** (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით და ვკისრულობთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ზემოაღნიშნული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარის ცალმხრივი წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად და საბანკო რეკვიზიტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (აღნიშნული დოკუმენტი საჭირო არ არის, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია 2025 წლის 8 მაისის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის ორიგინალი აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის მოქმედების განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: „ბანკის ფილიალის დასახელება“: ---------- ქუჩა N--, ქ. თბილისი, საფოსტო ინდექსის #, საქართველო.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის თანხის შემცირების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ბანკის ფილიალის წარმომადგენელი/უფლებამოსილი პირის მონაცემები: .....

პატივისცემით,